პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 108 (4618)

1972 წ. 4 ივნისი, კვირა.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდი

ტულა, 2 ივნისი. [illegible] საკავშირო რეკორდით მიიღო დღეს გამოცდილი [illegible] ინდივიდუალური რბოლის ფინიშთან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ტულელი ველოსიპედისტი თ. გარკუშინა. 3-კილომეტრიანი მანძილი მან 3 წუთსა და 59,93 წამში დაფარა. ეს შედეგი 1,17 წამით სჯობს ხარკოველი რ. ობოდოვსკაიას უწინდელ საკავშირო რეკორდს.

გარკუშინამ ამ წარმატებას სსრ კავშირის ძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში მიაღწია ადგილობრივ ტრეკზე.



# ოთხ სახეობაში — ფრიადი





თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეათეკლასელი ჭაბუკები ამას წინათ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივებს პარტიზანების პარკის ბაზებზე აბარებდნენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 62-ე სკოლის მოსწავლე ბ. კიკნაძემ, რომელმაც ოთხ სახეობაში ნორმატივი ფრიადზე ჩააბარა.

* * *

სურათებზე: 134-ე სკოლის ჭაბუკები ძელზე მიზიდვაში ნორმატივების ჩაბარების დროს; ბ. კიკნაძე ბირთვის კვრაში ასპარეზობისას.

ო. გელაშვილის ფოტოები.

# დებულება

## საბჭოთა მთამსვლელობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფოტო-კინოკონკურსისა „მთები და ადამიანები"

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია აცხადებს ტრადიციულ ღია ფოტო-კინოკონკურსს.

კონკურსის მიზანია: მაღალმთიანი სპორტის, მთამსვლელობის, მეკლდეურობის, სამთო ტურიზმის პოპულარიზაცია; ფოტო-კინოხელოვნების დანერგვა მთამსვლელთა და მოგზაურთა შორის; საუკეთესო ნამუშევართა პუბლიკაცია პერიოდულ გამოცემებში.

კონკურსის პირობები:

ამ თავისებურ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველა ფოტო-კინომოყვარულს შეუძლია, წარმოდგენილი ნამუშევრები უნდა ეძღვნებოდეს მთამსვლელთა, მეკლდეურთა და მაღალმთიანი ტურიზმის ოსტატთა ყოფას, მთის პეიზაჟებს, ასვლების ტექნიკურად რთულ მონაკვეთებს, ცალკეულ ქედებს, მწვერვალებს, ყინვარებს, ხეობებს, მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ეთნოგრაფიას, ფლორას, ფაუნას და სხვ.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. ფოტოსურათები (ფერადი ან შავთეთრი) ზომით 30×40 და 3 საკონტროლო ცალი ზომით 18×24 სმ. ყოველ ფოტოსურათს სახელწოდება უნდა ჰქონდეს;

2. კინოფილმები უნდა იყოს არა უმეტეს ორი ნაწილისა (20 წუთამდე), ვიწროფირიანი 8 ან 16 მმ, აგრეთვე, გადაღებული ჩვეულებრივ 35 მმ ფირზე, როგორც შავთეთრზე, ისე ფერადზე;

3. ფერადი დიაპოზიტივები.

საუკეთესო ნამუშევრები დაჯილდოვდება პრემიებით:

I. ფოტოსურათებისთვის: 1 დიდი პრიზი, 2 პირველი პრემია, 3 მეორე პრემია, 4 მესამე პრემია, 4 მეოთხე პრემია;

II. კინოფილმებისთვის: 2 პირველი პრემია, 3 მეორე პრემია, 1 მესამე პრემია;

III. დიაპოზიტივებისთვის: 1 პირველი პრემია, 2 მეორე პრემია, 2 მესამე პრემია.

სპეციალური პრიზები: 1. საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირისა; 2. საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციისა; 3. საქინფორმის ფოტოქრონიკისა; 4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპორტული კლუბისა.

ზოგიერთი ნამუშევრისთვის დაწესებულია წამახალისებელი პრემიები.

კონკურსის მასალები საქართველოს ალპიურ კლუბში უნდა გამოიგზავნოს ა. წ. 30 ნოემბრამდე.

ნამუშევრებზე მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი და პროფესია.

კონკურსთან დაკავშირებით ყოველგვარი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 37. საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბი.

საქართველოს ალპიური კლუბი.



დაღლილი...

ბ. უხმანსკის (ვარშავა) ფოტო.

## ახალი ამბები-72

● მინსკი, 2 ივნისი. დღეს აქ დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ იუგოსლავიის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრები გუნდები, აგრეთვე, სსრ კავშირის ახალგაზრდული კოლექტივი. პირველ დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხა ბულგარელები. ძალიან გაუჭირდათ ოლიმპიურ ჩემპიონებს — იუგოსლაველებს რუმინელებთან გამარჯვება — 4:3. საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს სძლია — 4:2.

● ტალინი, 2 ივნისი. აქ გაიმართა ესტონეთისა და ფინეთის „კლასიკოსთა" სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს ესტონელმა მოჭიდავეებმა — 6:4.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# გამოვლინდა ბევრი ხარვეზი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა განიხილა ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სპორტულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, ფიზკულტურის სპეციალისტთა მომზადების საკითხი. აღინიშნა, რომ ინსტიტუტში სპორტულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე (გამგე ი. ბობოხიძე) სასწავლო პროცესის დაგეგმვა-აღრიცხვის საკითხი მოუგვარებელია, კათედრას არა აქვს სასწავლო გრაფიკი, სამუშაო გეგმა მუშაობის ყველა მხარეს ვერ ითვალისწინებს და დამტკიცებული არ არის რექტორატის მიერ, მასწავლებელთა ინდივიდუალურ გეგმებში მხოლოდ პედაგოგიური დატვირთვაა შეტანილი, მეცადინეობის გეგმა-კონსპექტები პრიმიტიულადაა შედგენილი. მეცადინეობების ორგანიზაციული და მეთოდური დონე დაბალია, მოიკოჭლებს სტუდენტთა დასწრება მეცადინეობებზე, განვლილი მასალის ათვისების აღრიცხვა კათედრის დოკუმენტებში არ ჩანს და ა. შ.

ასევე დაბალ დონეზე დგას ფიზკულტურის სპეციალისტთა მომზადების საქმე (ფიზიკური აღზრდის, თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე ვ. აფრიდონიძე). დაგეგმვა-აღრიცხვის საქმე აქაც მოუგვარებელია. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ერთადერთი დოკუმენტია სახელმწიფო სასწავლო გეგმა.

ინსტიტუტში არა აქვთ პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფილი დებულება, არც პრაქტიკის ორგანიზაციაა უნაკლო.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ლაპარაკი იყო კიდევ ბევრ სხვა ხარვეზზე. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ-მასობრივ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში და ფიზკულტურის სპეციალისტთა მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

# ეს „ჩქარი" ტულის ტრეკი!..

ტულა, 3 ივნისი. 50 კილომეტრზე (150 წრე) 10 საშუალედო ფინიშით წყვილთა რბოლით გუშინ გვიან საღამოს ადგილობრივ ტრეკზე დამთავრდა უძლიერეს ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება. რბოლის საშუალო სიჩქარე მაღალი იყო — 48 კმ საათში. გაიმარჯვა არმიელთა დუეტმა — ა. იუდინმა და ნ. შილოვმა. II ადგილი დაიკავეს გამარჯვებულთა თანაკლუბელებმა ა. ხრისტენკომ და პ. კოროლიოვმა, ხოლო III — ომსკელმა ე. რაპმა და ყარაგანდელმა ა. სტეპანენკომ. ამ სამმა წყვილმა დანარჩენი მეტოქეები სამი წრით ჩამოიტოვა.

ტულის ტრეკზე ოთხდღიანი ტურნირის მონაწილეებმა პროგრამის კიდევ ბევრ სხვა სახეობაში სცადეს ძალა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „საერთაშორისო" დისტანციებზე ნაჩვენები შედეგები.

მაჩვენებელთა სტაბილურობა, მებრძოლის მაღალი თვისებები გამოავლინა მსოფლიო ჩემპიონმა რაპმა. 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში მან საუკეთესო შედეგს მიაღწია წლეულს სსრ კავშირში — 1.08,85. მეორე იყო მინსკელი ვ. ბიკოვი (1.10,12), მესამე — ოდესელი ა. იაბლუნოვსკი (1.10,23).

ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის წინასწარ სერიებში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ლენინგრადელ დებიუტანტს, 18 წლის ვ. ოსოკინს (5.00,44) და გამოცდილ მინსკელ ველოსიპედისტს ვ. ნაზარენკოს (5.00,99). ფინალში ნაზარენკომ იმარჯვა. მეორე იყო ოსოკინი, მესამე — ტაშკენტელი ს. სმირნოვი (5.06,79).

სპრინტში არ გამოსულან ამჟამად უცხოეთში მოასპარეზენი ო. ფხაკაძე, ს. კრავცოვი და ი. ცელოვალნიკოვი. ეს სახეობა მოიგო ტულელმა ბ. პეტროვმა. II ადგილი დაიკავა ასევე ტულელმა ვ. კოპილოვმა, III — იაბლუნოვსკიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



I ადგილზე ქუთაისის ნაკრები

თბილისში მიმდინარეობს შეჯიბრებები მძლეოსნობაში,ველოსპორტში, კალათბურთში და ჭადრაკში, სოხუმში კი გუშინწინ დამთავრდა ასპარეზობა ტყვიის სროლაში.

ველოსიპედისტებმა მეორე დღეს 75 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში იასპარეზეს. ყველას აჯობა თბილისის პირველმა ნაკრებმა — 1:44.84. II ადგილზე გავიდა აფხაზეთის გუნდი — 1:46.17, III — თბილისის მეორე ნაკრები — 1:48.00.

ტყვიის მსროლელთა კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ქუთაისის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები, III — აფხაზეთის წარმომადგენლები.

კალათბურთელთა ტურნირის მეორე დღის შედეგები ასეთია: გ ო გ ო ნ ე ბ ი. აფხაზეთი — ჭიათურა 74:81 (45:40), აჭარა — ქუთაისი 78:58 (32:25), თბილისი — სამტრედია 82:85 (44:17); ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. თბილისი — აფხაზეთი 82:48 (42:21), რუსთავი — აჭარა 68:62 (29:29), სამტრედია — ქუთაისი 76:91 (39:40).

მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# ფეხბურთელები მზადებას იწყებენ

ფეხბურთელთა შეჯიბრების ბოლო ტურში თბილისელებმა დაამარცხეს გორელები — 3:2. აჭარისა და ფოთის გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. ანგარიში არ გახსნილა ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდების შეხვედრაში — 0:0.

თბილისელებმა (მწვრთნელი კ. ოდიკაძე) 8 ქულით I ადგილი დაიკავეს. 7 ქულით II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები (ვ. ერქომაიშვილი), III — 6 ქულით გორელები (ვ. სირკო). 3-3 ქულა დააგროვეს აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის გუნდებმა, რომელთაც შესაბამისად IV, V და VI ადგილები დაიკავეს.

ტურნირის შემდეგ ჩვენ შევხვდით სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ს. სიხარულიძეს, რომელსაც რესპუბლიკის ნაკრების მომზადება აქვს მინდობილი.

— ყურადღებით ვაკვირდებოდი ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირს და გულახდილად უნდა გითხრათ, ერთობ ძნელი პრობლემის წინაშე ვარ, — თქვა მწვრთნელმა. — თავი და თავი ის არის, რომ წინა წლებთან შედარებით მოსწავლე ფეხბურთელთა კლასი შესამჩნევად დაბალია. ახლა ამ მიზეზების ძიების დრო არა გვაქვს. მხოლოდ იმას ვეცადეთ, რომ ტურნირში მონაწილე ფეხბურთელთაგან უკეთესი კანდიდატები შეგვერჩია. თბილისელთაგან სავარჯიშოდ მოვიწვევთ ი. ყარყარაშვილს, ჯ. აბაშიძეს, გ. კრავჩენკოს, რ. ნატროშვილს, ო. ძიაპშიპას, მ. ნიკოლაიშვილს, ე. კაკაურიძეს, თ. გორდაძეს, ქუთაისიდან — ვ. როშაქიძეს, გ. გაბრიჩიძეს, ი. კვერნაძეს, ა. ძოწენიძეს, რ. ბურკაძეს, გორიდან — ვ. ხანიშვილს, რ. მამისტარაშვილს, აფხაზეთიდან — ი. ტახმაზოვს, გ. გოგოლაშვილს, ზ. გუნიას, აჭარიდან — თ. ესებუას, ა. გორგილაძეს.

ნაკრები გუნდის კანდიდატები არიან, აგრეთვე, გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის წარმომადგენელი ზ. თევზაძე, წულუკიძელი ზ. გოგოძე, რუსთაველები ვ. კორშუნოვი, თ. იმნაძე, ჩოხატაურელები ზ. მენაბდე, თ. კაკულია და კიდევ რამდენიმე ნორჩი ფეხბურთელი.

აი, ამ ჭაბუკებიდან შევარჩევთ ნაკრების საბოლოო შემადგენლობას, რომელიც საკავშირო სპარტაკიადაში დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. სამუშაო ბევრი გვექნება. თავდაპირველად ნაკრები ივარჯიშებს ლიდომში, „ლოკომოტივის" ბაზაზე, მერე რესპუბლიკის ქალაქებში გავმართავთ ორმხრივ მატჩებს, ბოლოს კი კიევს გავემგზავრებით...

ნორჩი ფეხბურთელების მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებებს ისიც ადასტურებს, რომ განვლილი ტურნირის 15 მატჩში მხოლოდ 23 გოლია გატანილი, 6 ფრედ დამთავრდა (აქედან, ოთხ შეხვედრაში ბურთი საერთოდ არ გასულა). თავდამსხმელები გაუბედავად თამაშობდნენ და ხელსაყრელ მომენტებშიც კი უჭირდათ კარის აღება.

და მაინც, ბავშვთა ფეხბურთის გამოცდილ სპეციალისტს, ს. სიხარულიძეს იმედი აქვს, რომ დარჩენილ დროში ნაკრების წევრები კიევის ტურნირისთვის მზად იქნებიან. საქართველოს ნაკრების წევრებს საკავშირო სპარტაკიადაში ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ. ქვეჯგუფში მათთან ერთად ითამაშებენ სომხეთის, ლენინგრადის, მოლდავეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის ნორჩი ფეხბურთელები.

მაშ ასე, ნაკრები მზადებას იწყებს. წარმატებას ვუსურვებთ ჭაბუკ სპორტსმენებს.

გ. ირინაული.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელთა მატჩის მომენტი. ვარლვევაზეა ქუთაისელი ა. ძოწენიძე.

ი. იუშაევის ფოტო.

საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### „სამპო" უკვე გზაშია

პეტროზავოდსკის უნივერსიტეტის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს კლუბ „სამპოდან" კარგად იცნობენ ტურისტულ ბილიკებზე. მათ არაერთხელ მოუწყვიათ რთული მრავალდღიანი ლაშქრობები არა მარტო მშობლიურ მხარეში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეშიც. 120 კაცი — ასეთია სტუდენტთა ტურისტული კლუბის აქტივი. მათგან ნახევარი თანრიგოსანია.

მაგრამ, თუ ნამდვილი ტურისტი ხარ, დაეხმარე შენს ამხანაგს ძნელი გზების მშვენიერების შეცნობაში. სწორედ ასე იქცევიან კლუბის აქტივისტები.

წლევანდელი წლის განმავლობაში „სამპოს" აქტივისტები ტურისტულ ბილიკებზე თავიანთი უნივერსიტეტის ორი ათასზე მეტ სტუდენტს წაიყვანენ. ამ ლაშქრობის ძირითადი მიზანია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

უკვე გაზაფხულზე, როცა კომპლექსის ახალი ნორმატივები დამტკიცდა, კლუბმა ჩაატარა ორი მასობრივი ლაშქრობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სამასზე მეტმა სტუდენტმა. შემდგომ ერთდღიან ლაშქრობაში ჩაება 200 სტუდენტი, აგრეთვე, საბინაო-სამშენებლო ტრესტისა და ლენინგრადის გაერთიანება „სვეტლანას" პეტროზავოდსკის ფილიალის მუშაკები. მათი გზა ასეთი იყო: პეტროზავოდსკი — ლოსოსინოეს ტბა — პეტროზავოდსკი, სულ 30 კილომეტრზე მეტი.

ლაშქრობის ყველა მონაწილემ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნის ნორმატივები შეასრულა.

ვ. დანილოვი.

პეტროზავოდსკი.

### მაისში... თხილამურებით

ალმა-ათიდან პრჟევალსკში კუნგეი-ალათაის ქედის გადალახვით ჩადასვლა მოაწყვეს ალტაის სატრაქტორო ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა, რომლებმაც ამ ძნელი, მაგრამ წარმტაცი მოგზაურობისთვის შვებულების დღეები გამოიყენეს. თოვლით დაფარული უღელტეხილები აქ-სუ და სუტუ-ბულაკი მათ თხილამურებით გადაიარეს, ხოლო მთის მდინარეებში კი ფონით გავიდნენ.

მოგზაურობის ხელმძღვანელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ობუხოვმა გვითხრა:

— ჩვენს ქარხანაში ტურიზმით გატაცებულია ალბათ ყოველი მეორე მუშა. წინდაწინ ვადგენთ მარშრუტებს, ხოლო შვებულების დროს ვმოგზაურობთ. ვიყავით საიანის მთებში, ურალსა და კავკასიაში, ახლა კი ტიან-შანს მივაშურეთ. წლეულს პირველი ბილიკები გავკვალეთ, ლაშქრობაში ფილმი გადავიღეთ. ეს ტურისტთა კლუბის თავისებური ანგარიში იქნება.

ვ. პერევალოვი.

პრჟევალსკი.

### სპორტკლუბი სკოლამდელთათვის

ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის დასახლებაში შექმნილია მოცურავეთა კლუბი, რომელიც საბჭოთა კავშირში ალბათ ყველაზე ახალგაზრდაა.

საწარმოში ვადამდე გადაწყდა ხუთწლედის ერთ-ერთი ამოცანა: დაბაში მცხოვრები ყველა სკოლამდელი უზრუნველყოფილია ადგილებით საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. საწარმოს მიერ აგებულ ჩვიდმეტ საბავშვო კომბინატში პატარებისთვის ჩინებული აუზებია მოწყობილი.

ქარხნის სპორტული კლუბის „პლამიას" მწვრთნელებმა ი. ბეზგინამ და ზ. ალექსეევამ ითავეს პატარებისთვის ცურვა ესწავლებინათ. ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ბაღში ისინი ამეცადინებდნენ საშუალო და უფროსი ჯგუფების ბიჭებსა და გოგონებს. ჯერ აუზში თამაშებით დაიწყეს, თანდათან ბავშვებს ასწავლიდნენ წყალზე გაჩერებას. ახლა ყველა მათი აღსაზრდელი კარგად ცურავს და შეჯიბრებაშიც არაერთხელ გამოსულა.

— ამჟამად ჩვენი მიზანია კლუბში ყველა სკოლამდელი ჩავაბათ. მათ საზოგადოებრივი მწვრთნელები ამეცადინებენ, — თქვა ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ჟიტენევმა.

მ. გოლაჩოვი.

ლიპეცკი.

### პირველი გამოშვება

ქალაქის სკოლების 45 მასწავლებელმა დაამთავრა იაროსლავლის ფიზიკური კულტურის საქალაქო უნივერსიტეტი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. ეს პირველი გამოშვებაა. მასწავლებლებმა უნივერსიტეტში ორი წლის განმავლობაში მოისმინეს ლექციების ციკლი ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში. მათ ესაუბრებოდნენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებზე. ლექციებას წასაკითხად მოწვეული იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადის სწავლულები, იაროსლავლის უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტები.

თეორიული მეცადინეობა საჩვენებელი საწვრთნელი ვარჯიშებით იყო შევსებული. ეცნობოდნენ ქალაქის სკოლებში ფიზკულტურის სწავლების გამოცდილებას.

ახლა უნივერსიტეტი ახალ მსმენელთა მისაღებად ემზადება. მათი რიცხვი ორჯერ მეტი იქნება.

იაროსლავლი.

## რეკორდები

ტურინი, 3 ივნისი. საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა მოსკოველმა ვ. ივანოვამ: მან სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 3.37,8. უწინდელი საკავშირო მიღწევა ექვსი წლის წინათ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებაში (ლონდონი) დაამყარა ლენინგრადელმა ო. რაიკომ — 3.38,7.

ივანოვი წარსულში ორსკის „ტრუდის" ღირსებას იცავდა (1971 წლის დამლევს იგი მოსკოვში გადასახლდა). საშუალო მანძილებზე რბენის ამ შესანიშნავ ოსტატს უკვე კარგა ხანია იცნობენ, თუმცა შარშან საკავშირო რანგების ტაბელში ივანოვს 1500 მეტრზე რბენაში VI ადგილი ეკავა შედეგით 3.41,6. სამაგიეროდ, 800-მეტრიან დისტანციაზე 1971 წლის სეზონში მისი შედეგი მხოლოდ ე. არჟანოვის მაჩვენებელს ჩამოუვარდებოდა, მარტში კი ივანოვმა ევროპის ზამთრის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიგო — მხოლოდ საშუალო მანძილებზე მორბენალ ცნობილ ათლეტს ი. პლახის (ჩეხოსლოვაკია) ჩამორჩა.

ტურინში ივანოვს მთავარ მეტოქედ კონტინენტის ჩემპიონი, იტალიელი ფ. არეზე მოელინა. სამნახევარი წრე სპორტსმენებმა საკმაოდ კომპაქტურ ჯგუფად გაირბინეს. მაგრამ აი, როცა ფინიშამდე 150 მ დარჩა, ამ ხმელ-ხმელმა, ქერა მოსკოველმა მძლავრი ბიძგით ყველა მეტოქე ჩამოიტოვა.

## რვა წლის შემდეგ...

მინსკში ჩატარდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ათლეტებმა — გუნდურ ჩათვლაში მათ I ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ტ. ალიბეგაშვილმა (57 კგ), ა. ილურიძემ (82 კგ) და მ. ცნობილაძემ (90 კგ). II საპრიზო ადგილზეა რ. ხუტაბა (100 კგ), ხოლო III — ვ. ხიდაშელი (90 კგ).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დინამოელებმა (უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. არსენიანი) რვაწლიანი „შესვენების" შემდეგ დაიბრუნეს უძლიერესთა სახელი. წლევანდელი წარმატება მათი მეათე გამარჯვებაა საკავშირო ტურნირში.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

## ხალისით, ენერგიულად

„შრომითი რეზერვების" საჭიდაო დარბაზი ამ ცოტა ხნის წინ თავისუფალი სტილის ათლეტებს დაეთმოთ: ჩატარდა საინტერესო შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. მართალია, მონაწილეთა შორის არ იყვნენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდების წევრები, მაგრამ ახალგაზრდობამ ენერგიულად, ხალისით და, რაც მთავარია, აზრიანად იჭიდავა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „სპარტაკმა". II ადგილი ხვდა „ბურევესტნიკს", III — „შრომით რეზერვებს".

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ნ. ხითაროვი („სპარტაკი"), ბ. აბესაძე, ა. მაისურაძე (ორივე — „ბურევესტნიკი"), ვ. ვალიშვილი („დინამო"), ა. ხუციშვილი (ასკ), ზ. ჯაფარიძე („სპარტაკი"), ე. კიკაბიძე („ბურევესტნიკი"), შ. პაპაშვილი („სპარტაკი"), მ. ცნობილაძე („დინამო"), ზ. ნიკურაძე („სპარტაკი").

ზ. მჭედლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

[illegible]

### წითელი წყარო

გაიმართა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 14 ფიზკულტურული კოლექტივის 60-მდე მსროლელი. გაიმარჯვა წითელი წყაროს საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზეა წითელი წყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრები, III — ზემო ქედის საშუალო სკოლის კოლექტივი.

უ. წყარუაშვილი.

## სპორტული ახალშენებლობები

### „ნიჩბოსანთა თავშესაფარი" ნემანზე

ნემანის თვალწარმტაც ნაპირებზე მწყობრში ჩადგა სანიჩბოსნო სპორტის დიდი კომპლექსი.

ეროვნული არქიტექტურის ტრადიციების მიხედვით აგებულ ოთხსართულიან შენობაში ყველა პირობაა შექმნილი ასპარეზობისა და საწვრთნელი მეცადინეობებისთვის. სპორტსმენთა განკარგულებაშია ვრცელი ელინგები და სახელოსნოები, ტანვარჯიშული დარბაზი, ფინური აბანო მასაჟისტების კაბინეტებით. კომპლექსს აქვს კომფორტაბელური სასტუმრო ორადგილიანი ნომრებით, მეთოდური კაბინეტებით, მყუდრო დარბაზებით, სადაც სტუმრები დაისვენებენ და გაერთობიან.

კურორტი ბირშტონასი სანიჩბოსნო სპორტის ცენტრად შემთხვევით როდია არჩეული, მშვენიერი ნემანს 50 კილომეტრზე გარს მშვენიერი ფიჭვნარი აკრავს. ეს იძლევა საშუალებას, რომ შეჯიბრებები ყოველგვარ ამინდში ჩატარდეს — სპორტსმენებს ქარი ხელს ვერ შეუშლის.

ბირშტონასი,
ლიტვის სსრ.

### კარგი საჩუქარი

ტაჯიკეთის უდიდეს სპორტულ კომპლექსში — ფრუნზეს სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე — კიდევ ერთი ნაგებობა აღიმართა: აიგო კეთილმოწყობილი საწვრთნელი ბაზა მოკრივეებისთვის. რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც საკავშირო შეჯიბრებათა ბევრი პრიზიორია, უკვე დაიწყო წვრთნა.

მოკრივეებს ახალი ბაზა ძალიან მოეწონათ.

დუშანბე.

# სპორტული ივნისი

ზაფხულის პირველი თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

4. საერთაშორისო შეჯიბრება — „მოსკოვის დიდი რეგატა" (მოსკოვი).

10-11. სსრ კავშირის თასი ქალთა შორის (მოსკოვი).

10-11. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ).

17-18. იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრება — „კიევის რეგატა" (კიევი).

17-18. საერთაშორისო შეჯიბრება — „გრიუნაუს რეგატა" (გდრ).

24-25. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ქარვის ნიჩბები" (ტრაკაი).

28. VI-1. VII. საერთაშორისო შეჯიბრება — „ჰენლეის რეგატა" (ინგლისი).

**აფროსნობა**

21-29. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის XXIV რეგატა" (რიგა).

**ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა**

4. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

17-18. ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (ფინეთი).

27-28. სსრ კავშირის ჩემპიონატი ოლიმპიური პროგრამით (ჟიტომირი).

**ველოსპორტი**

7-13. საერთაშორისო შეჯიბრებები ტრეკზე — „ტალინის დიდი პრიზი" და „ტულის დიდი პრიზი" (ტალინი, ტულა).

18-20. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე ოლიმპიური პროგრამით (გდრ).

18-25. საერთაშორისო შეჯიბრება სპრინტში (დანია).

**თავისუფალი ჭიდაობა**

8-11. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

30. VI-2. VII. საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).

**თანამედროვე ხუთჭიდი**

13-18. საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).

16-20. საერთაშორისო შეჯიბრება (კიევი).

27. VI-1. VII. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).

**კალათბურთი**

27. VI-2. VII. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება — „ოლიმპიური კვირეული" (გფრ).

**კლასიკური ჭიდაობა**

30. VI-2. VII. საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).

**კრივი**

4-9. იუნიორთა ევროპული პირველობა (რუმინეთი).

14-18. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალი (მოსკოვი).

**მშვილდოსნობა**

10-11. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

24-25 შვეიცარიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (შვეიცარია).

**მძლეოსნობა**

6-8. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის" პრიზზე (მოსკოვი).

9-10. სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი ხუთჭიდსა და ათჭიდში (მოსკოვი).

11. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი 30-კილომეტრიანი გარბენი გაზეთ „ტრუდის" პრიზზე (მოსკოვი).

14. საერთაშორისო შეჯიბრება — „ოლიმპიური დღე" (გდრ).

21. ე. როშიცკის მემორიალი (ჩეხოსლოვაკია).

23. ი. კუსოჩინსკის მემორიალი (პოლონეთი).

23-24. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გფრ).

28-29. საერთაშორისო შეჯიბრება ძმები ზნამენსკების პრიზზე (მოსკოვი).

**სამოტოციკლო სპორტი**

4. მსოფლიო ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე რბოლაში. ნახევარფინალები (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი).

4. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების" კლასში (პოლტავა).

4 და 11. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (გფრ, ჩეხოსლოვაკია).

14. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების" კლასში (ჩეხოსლოვაკია).

25. მსოფლიო ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე რბოლაში. კონტინენტალური ზონის ფინალური შეჯიბრებები (ჩერკასკი).

**სასტენდო სროლა**

8-11. საერთაშორისო შეჯიბრება — „კარპატების დიდი პრიზი" (რუმინეთი).

21-25. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მოსკოვი).

**საცხენოსნო სპორტი**

24-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი სამჭიდში (მინსკი).

**ტანვარჯიში**

4. საერთაშორისო შეჯიბრება — „ოქროს ქვიშა" (ბულგარეთი).

29. VI-4. VII. სსრ კავშირის თასი და სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში (მინსკი).

**ტყვიის სროლა**

21-25. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (პოლონეთი).

22-26. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

**ფეხბურთი**

7. სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების მატჩი (მოსკოვი).

14. სსრ კავშირისა და უნგრეთის ოლიმპიური გუნდების მატჩი (ერევანი).

14-18. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალები და ფინალი (ბელგია).

24. VI-10. VII. საერთაშორისო შეჯიბრება (ბრაზილია).

**ფრენბურთი**

7-11. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).

**ჩოგბურთი**

26. VI-8. VII. უიმბლდონის ტურნირი (ინგლისი).

**ძალოსნობა**

4-8. საერთაშორისო შეჯიბრება (კუბა).

24-25. ბულგარეთისა და რსფსრ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (ბულგარეთი).

**წყალბურთი**

4-6. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

**წყალსათხილამურო სპორტი**

28. VI-2. VII. საკავშირო შეჯიბრება (იჟევსკი).

**წყალში ხტომა**

23-25. საკავშირო შეჯიბრების ფინალი (წახკაძორი).

24-25. სსრ კავშირისა და გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მატჩი (კიევი).

**ჭადრაკი**

16. VI-12. VII. ვაჟთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალები (ირკუტსკი, უჟგოროდი, ჩელიაბინსკი).

22. VI-11. VII. ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალები (დონეცკი, ჟდანოვი, კლაიპედა, სვერდლოვსკი).

24. VI-3. VII. იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (იუგოსლავია).

**ხელბურთი**

11-16. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიკის თასი" (ვილნიუსი).

27. VI-2. VII. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ზაპოროჟიე).

---

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე რიგიდან გვატყობინებს*



## მეცხრე პარტია

**ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი**

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 d6 5. მc3 მc6 6. კe3 მf6 7. f4 კe7 8. ლe2**

დებიუტების თეორიაში ახალი, უცნობი გაგრძელებაა. ცხელ გულზე ძნელია ითქვას, რამდენად ძლიერია იგი. მთავარია, რომ სვლა მოულოდნელი იყო და გაჭრა. კუშნირმა ვერ მონახა უარყოფის გზა, ბევრი დრო დახარჯა და ბოლოს მწვავე ცაიტნოტში აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონის ჩანაფიქრი სავსებით გამართლდა. გრძელი როქის შემდეგ მან ძალიან პერსპექტიული იერიშის საშუალება მიიღო მეფის ფრთაზე.

**8. ... e5 9. მf3 a6 10. 0—0—0 ლa5**

უკეთესი იყო 10. ... ლc7. შემდგომ c7-ზე მოსვლა შავებს ტემპის ფასად დაუჯდათ. შავებმა თამაში ისე უნდაააწყონ, რომ კუ f1-ის განუვითარებლობა გამოიყენონ. კუშნირი ამას ვერ ახერხებს.

**11. მფb1 0—0 12. კd2 ლc7 13. მd5**

შესანიშნავია. გაფრინდაშვილი შავ მეფეზე იერიშის კარგ გზასირჩევს.

**13. ... მ:d5 14. ed მd4**

პაიკს აგებდა 14. ... მd8

**15. მ:d4 ed**

პარტიის საკვანძო პოზიციაა. ერთი შეხედვით, მდგომარეობა თანაბარია, სინამდვილეში კი თეთრების პაიკთა იერიში შეუფერხებლად ვითარდება. შემდგომ კუშნირი დიდი შეუპოვრობით თამაშობს, მაგრამ თავის გვირგვინოსანს ბედს ვერაფრით უმსუბუქებს.

**16. კc1 კf6 17. g4 g6 18. h4**

როგორც კი ხაზები გაიხსნება და ბრძოლაში ფიგურები ჩაებმებიან, თეთრების მოგება მხოლოდ დროის საქმე ხდება. შავებს კონტრთამაშის საშუალება არა აქვთ.

**18. ... კd7 19. ლg2 კb5 20. კd3**

როცა იერიშის განვითარებისათვის ბევრი გზაა, თვალები ადვილად აგიჭრელდება და ყველაზე სწორ გეგმას ვერ მიაგნებ. პრესცენტრში ნონას ამ სვლის გამო უსაყვედურებდნენ. უფრო ქმედითი იყო 20. h5.

**20. ... ეfe8 21. h5 ეe7 22. g5 კg7 23. ლh3**

აქ ნამდვილად ჯობდა 23. f5 საიერიშო კომუნიკაციების გახსნით.

**23. ... კ:d3 24. ლ:d3 ეae8 25. hg fg 26. f5 ეe4 27. f6**

მალე იგებდა 27. fg hg 28. ლh3 e5 29. ეdf1 ლg7 30. ეf6 და თეთრებმა შავი კუ თამაშიდან გამოთიშეს.

**27. ... კf8 28. ეh2 ლf7 29. ეdh1 h5 30. gh მფh7**

არ შეიძლება 30. ... ლ:f6 31. ეf1-ის გამო.

**31. ეg2 ეe1 32. ეgg1 ე:g1**

მძაფრ ცაიტნოტში კუშნირი ჩქარობს. აქ აუცილებლად 32. ... ეle4 უნდა ეთამაშათ, მაშინ თეთრებს მოგების მისაღწევად ძალზე ზუსტი თამაში დასჭირდებოდათ. ახლა ბრძოლა სწრაფად თავდება.

**33. ე:g1 ლ:f6 34. ეf1 ლe7 35. ლ:d4 ლe5 36. ეf7+ მფg8 37. h7+ მფh8 38. ლ:e5+ de 39. კg5 კg7 40. d6** შავები დანებდნენ.

ეს პარტია ერთ-ერთი საინტერესო და გადამწყვეტია მატჩში.

• • •

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6:3 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგი სათამაშო დღე გახლავთ ორშაბათი, 5 ივნისი.

---

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# „მწვერვალიდან" დაეშვნენ

რიგის მატჩი „მწვერვალიდან" დაეშვა — უკვე 9 პარტია გათამაშდა. წინ „დაღმართია" — კიდევ 7 პარტია. მაგრამ მთავარი ისაა, ვინ როგორ ჩაივაკებს. ხომ გახსოვთ, კუშნირთან 1965 და 1969 წლების მატჩებში ჩემპიონს ყველა პარტიის თამაში არც დასჭირვებია.

ახლა კი თვალი გადავავლოთ მათს გზას მწვერვალისკენ.

5:3 — მატჩის პირველი ნახევრის შედეგი. ანგარიში ალბათ გეცნობათ: სწორედ ასე იყო 1969 წელს, მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ. ოღონდ ამჯერად ბრძოლა სხვა გზით წარიმართა. საკმარისია ითქვას, რომ ნონა თავიდან ლიდერობს, ინიციატივა ერთხელაც არ დაუთმია. მაშინ, თუ გახსოვთ, სტარტზე წინ კუშნირი გაიჭრა.

შარშან ზამთარში კუშნირმა თქვა: ვიცი ჩემი თამაშის ნაკლოვანი მხარეები, მაგრამ მათი გამოსწორება შეუძლებელია. ერთ თვისებას რომ შევიძენ, მეორეს ვკარგავ. ამიტომ ნონასთან მატჩის სათამაშოდ მომზადებისას მთავარ ყურადღებას ძლიერი მხარეების განვითარებას მივაქცევო.

რა ჰქონდა მხედველობაში პრეტენდენტს, საიდუმლოდ დარჩა. იქნებ მატჩის მერე გაამხილოს. შეიძლება კუშნირი პოზიციურ თამაშში თავის სანაქებო ხელოვნებას გულისხმობდა. ჩემპიონმა სწორედ ეს მიიჩნია მის მთავარ იარაღად და ამით განსაზღვრა კიდეც მატჩში ბრძოლის გეზი.

გაფრინდაშვილმა პრეტენდენტს თავიდან მძაფრი ტაქტიკურ-კომბინაციური თამაში შესთავაზა, დებიუტებიც საკმაოდ მწვავე შეარჩია — სიცილიური და გრიუნფელდის დაცვა.

ვერ გეტყვით, იყო თუ არა კუშნირი მზად ასეთი „პრემიერისთვის", მაგრამ „უვერტიურამ" საგრძნობლად დააზარალა. II პარტიაში მისი უხეში შეცდომა (ერთსვლიანი შამათი გამორჩა) შემთხვევითი არ უნდა იყოს. თამაშის დროს პრეტენდენტი ძალიან ნერვიულობდა, თუმცა გარინდული კი იჯდა.

მსოფლიო ჩემპიონის თამაშის გეზი სწორი გამოდგა. კუშნირი კალაპოტიდან ამოვარდა, თუმცა ნონაც ზედმეტად გათამამდა (გაიხსენეთ III პარტიაში მე-14 სვლაზე მისი მეფის მანევრი), რაც ქულად დაუჯდა. მაგრამ ჩემპიონი დროით მოერია თავს და თამაში კვლავ ააწყო: 3:1, 3,5:1,5, 4,5:1,5, 5:2. მაგრამ VIII პარტიაში კვლავ დაზარალდა — დებიუტში წააგო.

ამ მარცხის ასახსნელად საჭიროა მიმოვიხილოთ მეტოქეთა ბრძოლა დებიუტში. პარტიების გაცნობისას იოლად შეამჩნევთ, რომ ჩემპიონი და მისი ოპონენტი ორ დაწყებას „ჩააცივდნენ", სიცილიურ დაცვაში ნონამ მხოლოდ 2 ქულა მიიღო ოთხ შეხვედრაში, ორჯერ, IV და VII პარტიებში, მოსაგები პოზიცია გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა. ეს, რა თქმა უნდა, დებიუტის ბრალი არ არის. სამაგიეროდ, გრიუნფელდის დაცვამ სამ პარტიაში 3 ქულა მისცა.

კუშნირი საკმაოდ პრინციპული მოჭადრაკეა. იგი მაინც თამაშობდა გრიუნფელდის დაცვას. ბოლოს, VIII პარტიაში, მან შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი, ნონამ რომ შესწირა ინიციატივისთვის, და გაიმარჯვა. ახლა ვიცით, რომ მსოფლიო ჩემპიონმა დაფასთან ვერ მიაგნო იმ სწორ გაგრძელებას, რომელიც კუშნირის „სიახლეს" ნაცარტუტად აქცევდა.

როგორც ჩანს, დებიუტში თეორიული დუელი კვლავ გაგრძელდება. ორივე მეტოქეს სჯერა თავისი შეხედულების სისწორე.

შეიმჩნევა კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი: სტარტიდან კუშნირი შებოჭილი თამაშობდა, მაგრამ VI პარტიის შემდეგ მისმა მწვრთნელმა, ოსტატმა ვ. იურკოვმა დაბეჯითებით გვითხრა, ალა აღარ ინერვიულებსო. ოცნება გამარჯვებაზე პრეტენდენტს უკვე შემოადნა ხელში. ანგარიშში სხვაობა სწრაფად იზრდებოდა. ალა მიხვდა, რომ ნერვიულობა ბევრს ვეღარაფერს უშველიდა და თავისუფლად დაიწყო თამაში. მართლაც, მისი VII და VIII პარტიები მშვენიერი იყო... VIII პარტიამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რა ძლიერია კუშნირი პოზიციურ ბრძოლაში.

მატჩის სპორტულ-შემოქმედებითს მხარეზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ. ოღონდ კუშნირის შემოქმედების ერთ თავისებურებაზე მაინც ვიტყვით ორიოდე სიტყვას:

შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ პარტიის კრიტიკულ მომენტებში კუშნირი ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას. ეს სერიოზული ნაკლია. ასე მოიქცა იგი, მაგალითად, III და IV პარტიებში. რით არის ეს გამოწვეული, აღელვებით თუ დაუკვირვებლობით? კუშნირის მეტოქეებმა კარგად უნდა გაარკვიონ ეს და შეიძლება ბასრი იარაღი ჩაუვარდეთ ხელში.

რიგის მატჩი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ფინიშისკენ გზა ალბათ იოლი არ იქნება. ჩემპიონსა და პრეტენდენტს დაღლილობა არ ეტყობათ. კუშნირმა შესვენება ორჯერ რომ აიღო, ეს ბრძოლის ტაქტიკით იყო ნაკარნახევი: ხან დებიუტს სჭირდებოდა „შეკეთება", ხან პრეტენდენტი გუნებაზე არ იყო. შეიძლება მეტოქეებმა შესვენება კიდევ აიღონ, მაგრამ ეს მათს ბრძოლას ემხსა და ლაზათს ვერ დაუკარგავს.



## უმაღლესი ლიგა

გუშინწინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ლოკომოტივი" და „სპარტაკი".

ანგარიში მე-8 წუთზე გახსნეს სპარტაკელებმა და ცენტრიდან თამაშის განახლებაც მათვე მოუხდათ, ვინაიდან გოლი საკუთარ კარში გაიტანა ოლშანსკიმ. მე-19 წუთზე პაპაევის მძლავრად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მას მიუსწრო ჰუსაინოვმა და თანაფარდობაც აღდგა, ხოლო ტაიმის დასასრულს პაპაევმა (იგი „ლოკომოტივის" მცველებმა უხეშად წააქციეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე) ზუსტად გამოიყენა პენალტი. 2:1 — გაიმარჯვა „სპარტაკმა".

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის სხვა კალენდარული შეხვედრები.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მინსკის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" კალენდარული მატჩის შედეგზე საკდესმა არასწორი ცნობა მოგვაწოდა, თითქოს მინსკელთა კარში ორივე საპასუხო ბურთი გაიტანა კოზლოვმა. სინამდვილეში მეორე გოლი გაიტანა „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა პოპკოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სენსაცია „ფორო იტალიკოზე"

მაისის დამდეგს რომში, „ფორო იტალიკოს" კორტებზე ჩატარდა სეზონის ერთ-ერთი უდიდესი „ოპენ" ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს 50-ზე მეტი უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. საბჭოთა სპორტის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ ალექსანდრე მეტრეველს იტალიის ამ ღია ჩემპიონატში მაინცდამაინც დიდი წარმატებით არ უთამაშია — რვა უძლიერესს შორის მოხვდა, მაგრამ უფრო წინ ვერ წავიდა. სამაგიეროდ, სენსაციური გამარჯვება მოიპოვა 22 წლის ესპანელმა მანუელ ორანტესმა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციით XIV ადგილზეა. შარშან ორანტესმა რამდენიმე პატარა ტურნირი მოიგო, ამას გარდა, დამარცხებული ჰყავს დრისდეილი, როზუოლი და რამდენიმე სხვა უძლიერესი ჩოგბურთელი. წლეულს იტალიის ტურნირამდე მას თავი არაფრით გამოუჩენია. ფინალში ორანტესს შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი იან კოდეში (მსოფლიო კლასიფიკაციით V ადგილზეა), რომელსაც სპეციალისტები მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ. კოდეშმა ორჯერ უკვე დაიკავა II ადგილი იტალიის ჩემპიონატებში — 1970 წელს მხოლოდ რუმინელ ილიე ნესტასეს ჩამორჩა, 1971 წელს კი ლეივერს. ამჯერად კოდეშმა ბრწყინვალედ ითამაშა ნესტასესთან, ფინალური მატჩიც ასევე შესანიშნავად დაიწყო და პირველი პარტია მოიგო ანგარიშით 6.4. თამაშმა თითქოს ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ხალხს გულიც კი დასწყდა, რომ ესპანელს სერიოზული მეტოქეობის გაწევა არ შეეძლო. მაგრამ დაიწყო მეორე პარტია და კოდეშს თითქოს ხელფეხი შეეკრა: ზედიზედ სამი პარტია წააგო — 1:6, 5:7, 4:6. ესპანური ჩოგბურთის ახალგაზრდა ლიდერმა ორანტესმა უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და მიიღო პრიზი — 10 ათასი დოლარი. კოდეშს 8 ათასი დოლარი ხვდა.

მაყურებელი კიდევ უფრო გულდაწყვეტილი დარჩა, როცა წყვილთა შეხვედრა მეხუთე ხელის შემდეგ შეწყდა. ანგარიში იყო 5:3 რუმინელების ნესტასესა და ცირიაკის სასარგებლოდ. ჰოადმა და მაკ მილანმა ამ დროს თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვეს. ჰოადმა მოითხოვა სიბნელის გამო შეხვედრა შეეწყვიტათ, მაგრამ მსაჯებს მიაჩნდათ, რომ თამაში კიდევ შეიძლებოდა. მაშინ ჰოადმა და მისმა პარტნიორმა კორტი დატოვეს.

38 წლის ავსტრალიელი ლ. ჰოადი მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავია. მას ოთხჯერ აქვს მოგებული უიმბლდონის ტურნირი, „ფორო იტალიკოზე" კი პირველად ამ 16 წლის წინ — 1956 წელს გამოვიდა. მას შემდეგ ჰოადს ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება აქვს მოპოვებული, ამჯერად კი ვეტერანმა ერთეულთა თანრიგში 19 წლის იტალიელ ა. ბარაცუტისთან შეხვედრა დათმო. მაგრამ ამ მარცხს მაინცდამაინც არ გაუნაწყენებია ჰოადი. იგი უკვე აღარაფერს ელის ჩოგბურთისგან, ყველაფერი მიღებული აქვს, რისი წილებაც შეიძლებოდა. ჰოადს ყოველგვარი ტურნირები მოუგია და ყველა ტიტულის მფლობელი ყოფილა. ათ წელიწადს იგი პროფესიონალად ითვლებოდა, ახლა კი ხელშეკრულება გააუქმა. ჰოადს უკვე აღარ სჭირდება ფულზე თამაში, ცხოვრება მოიწყო, ისევ მოყვარულებს დაუბრუნდა და ახლა მარტო თავისი სიამოვნებისთვის გამოდის კორტზე, წელიწადში ხუთ-ექვს ტურნირში მონაწილეობს. გარეგნულად მშვენიერი სანახავია, ერთი ნაოჭი არ ეტყობა სახეზე. ახალგაზრდა, მზემოკიდებული, კინომსახიობ კირკ დუგლასს ჩამოჰგავს. საცხოვრებლად ჰოადი ოჯახით — ცოლითა და სამი შვილით (ორი გოგონა ჰყავს, ერთი 17, მეორე კი 14 წლისა. ბიჭი 10 წლისაა) ესპანეთში გადავიდა. მან ჩოგბურთის კლუბი და სკოლა გახსნა მიხასში, რომელიც მალაგიდან ათი წუთის სავალზეა. ევროპაში ცხოვრება ჰოადმა იმიტომ არჩია, რომ იქ უკეთეს განათლებას მისცემს შვილებს, ესპანურ, იტალიურ, ფრანგულ ენებს ასწავლის. ავსტრალია კი, მისი აზრით, ძალიან შორია და იქ მცხოვრებ კაცს მუდამ გაუჭირდება ქვეყნების გასაცნობად მოგზაურობა. როცა ჰკითხეს, ჰოადმა ესპანეთის საუკეთესო ჩოგბურთელად პანჩო გონზალესი დაასახელა. ახალგაზრდა ბარაცუტიზე მან ასე თქვა: „კარგი მოთამაშეა. შეიძლება გამოვიდეს დიდი ჩოგბურთელი, შეიძლება არც გამოვიდეს. ვინ იცის"...

მ. ბარამია.

* * *

სურათზე: მ. ორანტესი თამაშის დროს.

„უნიტას" (იტალია) ფოტო.




# კალენდრის 16 ოლიმპიური ფურცელი

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" უჩვეულო კალენდარი გამოუშვა — სულ 16 დღისთვის. ეს გახლავთ 1972 წლის აგვისტოს ბოლო ექვსი და სექტემბრის პირველი ათი დღე. მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ კალენდარი მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება.

მაშ ასე, სულ 16 დღე, სადაც ყველა საათი და წუთი გაანგარიშებულია.

გარდა შეჯიბრებათა სტარტისა და ფინიშისა, კალენდარში დაწვრილებითაა მოცემული საზაფხულო ოლიმპიადების ისტორია, ნაამბობია საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლებზე. აქ წარმოდგენილია დიდძალი საცნობარო მასალა, შესანიშნავი ფერადი ილუსტრაციები მოგვითხრობენ ოლიმპიურ პროგრამაში შემავალი სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა ასპარეზობაზე, გამოჩენილი ოლიმპიადების ჩემპიონ საბჭოთა სპორტსმენებზე.

კალენდარი შეადგინა ჟურნალისტმა ბ. ხავინმა. (საქდესი).

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

# აფრიკის ნაკრები ემზადება

დაკარი, 3 ივნისი. სენეგალელი სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს აფრიკის ფეხბურთელთა ნაკრების „გენერალურ რეპეტიციას" — ეს გუნდი ხომ მალე ოკეანეს გადასერავს და ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში ითამაშებს.

სენეგალის დედაქალაქში, სადაც ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება ჩაატარა, უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა მთავარი გუნდისა და მწვანე კონცხის ოლქის ნაკრების შეხვედრა. აფრიკის ნაკრებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა — 2:1.

მიუხედავად ამისა, აფრიკის ნაკრების მწვრთნელი რ. მეკლუფი (ალჟირი) კმაყოფილი დარჩა თავისი „ნოწაფეების" თამაშით. ისინი კი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: ჰ. ალი (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა ეგვიპტე), ო. აკა (განა), ტახარი, ხედეფი (ორივე — ალჟირი), მინგა (კონგო), ტოკოტო (კამერუნი), გომისი (სენეგალი), ეშუნი (განა), პოკუ (სპილოს ძვლის ნაპირი), მპელე (კონგო), მალიკი (განა). ალი შემდეგ ტომიმ (ტოგო) შეცვალა.

— ბრაზილიაში გამგზავრებამდე ცოტა დრო დარჩა, — თქვა მეკლუფიმ. — ფეხბურთელებმა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინეს, თავისუფლად, დაჯერებულად თამაშობდნენ. ახლა ჩვენ შევეცდებით ნაკრების წევრთა ეს თვისებები ერთიან, შეწყობილ ანსამბლად ვაქციოთ, რომელმაც ტემპერამენტიანი, შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

• •

# კეიტა რომ არ გადაიბირონ

საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „სენტ-ეტიენი". ბოლო წლებში თავის მიღწევებს ზანგ თავდამსხმელს კეიტას უნდა უმადლოდეს. კეიტა მალიდან ჩამოვიდა და საფრანგეთში მალე გაითქვა სახელი როგორც იშვიათმა სნაიპერმა. ახლა მასზე პირდაპირ ნადირობენ არა მარტო ფრანგული, არამედ უცხოეთის კლუბებიც. „სენტ-ეტიენმა" არაერთი წინადადება მიიღო „ბრიუჟიდან" (ბელგია), ჰოლანდიის „სპარტასა" და „ფეიენოორდისგან". დიდმა თანხამ „სენტ-ეტიენი" შეაფიქრა კიდეც, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ ადგილობრივი გულშემატკივრები. მათ ვრცელი პეტიციით მიმართეს კლუბის ხელმძღვანელობას და კატეგორიულად მოსთხოვეს შეინარჩუნოს კეიტა.



სურათზე: სალიფ კეიტა.

# ახალი ნორმატივები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ხუთჭიდის ქულების გამოთვლის ახალი ცხრილის საფუძველზე 1972 წლის აპრილიდან სსრ კავშირში შემოიღო ხუთჭიდში მოასპარეზე და 3000 მეტრზე მორბენალი ქალებისთვის ახალი სათანრიგო ნორმატივები.

ხუთჭიდში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ იმ მძლეოსნებს, რომლებიც შეჯიბრებაში 4400 ქულას დააგროვებენ. სპორტის ოსტატის წოდების მოპოვებისთვის საჭიროა 3950 ქულა, სპორტის ოსტატობის კანდიდატობისთვის — 3700, I თანრიგისთვის — 3300, II თანრიგისთვის — 2800, III თანრიგისთვის — 2200 ქულა.

გოგონებისთვის (თარჯების სიმაღლე 76,2 სმ, 3-კილოგრამიანი ბირთვი) ხუთჭიდში მოზარდთა I თანრიგისთვის 1950 ქულის მოგროვება იქნება საჭირო, II თანრიგისთვის — 1600, III — 1270.

3000 მეტრზე რბენაში ოსტატობის მოპოვებისთვის დისტანციის 9 წუთსა და 34 წამში გარბენა იქნება აუცილებელი. სპორტის ოსტატობის კანდიდატობისთვის — 9.55,0, I თანრიგისთვის — 10.20,0, II — 11.15,0, III — 12.10,0.

3000 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის რეკორდის საწყის ნორმატივად დაწესებულია 9.30,0. როგორც 1 ივნისის ნომერში ვიუწყებოდით, სვერდლოვსკელმა ი. ტაბორსკაიამ ამ ნორმატივს უკვე გადაამეტა — მოსკოვში, არმიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მან 9.24,8 აჩვენა.

# გადამწყვეტი ბრძოლების წინ

როგორც ცნობილია, ჟურნალი „ლიოგკაია ატლეტიკა" ყოველწლიურად ატარებს კონკურსს „სსრ კავშირის საუკეთესო მძლეოსნის" დასადგენად.

კონკურსის პირობებით, წლეულს მთავარი კრიტერიუმი XX ოლიმპიადაში მონაწილეობის შედეგები იქნება. საუკეთესო მძლეოსნის სახელის პირველი პრეტენდენტი იქნება ის, ვინც მიუნხენში ჩემპიონობას მოიპოვებს. შემდეგ ადგილებზე იქნებიან თამაშების პრიზიორები, მერე კი სხვა მძლეოსნები, ოლიმპიადაში მონაწილეობის მიუხედავად.

წლევანდელი ზამთრის სტარტების შემდეგ კონკურსს ლიდერობს კიეველი ტ. პანგელოვა, რომელმაც 1500 მეტრზე რბენაში ზამთრის საკავშირო და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, თანაც მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა დაამყარა (4.14,62), სსრ კავშირ — აშშ-ს მძლეოსანთა მატჩში კი II ადგილი დაისაკუთრა. პანგელოვას 8,3 ქულა აქვს.

პანგელოვას 0,5 ქულით ჩამორჩება ვილნიუსელი სიმაღლეზე მხტომელი კ. შაპკა.

ხარკოველ ჭოკით მხტომელს ე. ტანანიკას 8 ქულა აქვს.

შემდეგ ადგილებზე არიან მოსკოველები ა. კორნელიუკი (7,75) და ი. ივანოვი (7,66), იაროსლაველი გ. ფილატოვა (7,5), ლენინგრადელი ა. ივანოვა (7), მინსკელი ვ. მიასნიკოვი (7), რიგელი ი. გრუსტინში (6,3) და თბილისელი ვ. სანეევი (6,25).

# მძლეოსანთა სტარტები

პოტსდამი, 2 ივნისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარგიტა გუმელმა (გდრ) 19,48 მეტრზე ჰკრა ბირთვი, 22 წლის ანელი ერჰარდტმა 100 მეტრზე თარჯრბენში 13,1 წამი აჩვენა. 200 მეტრზე რბენის ფინიშთან ორი მძლეოსანი მაშინ მიიჭრა, როცა წამზომის ისარი 23 წამზე არ იყო მისული. ესენი არიან მონიკა ცერტი (22,8) და ელენ შტროფალი (22,9). ეს შედეგები წლეულს მსოფლიოში მეორე და მესამეა. გუნჰილდ ჰოფმაისტერმა 800 მ 2 წუთსა და 02,6 წამში გაირბინა.

სტოკჰოლმი, 2 ივნისი. იან დალგრენმა შვეციის რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 221 სმ გადალახა. ეს 24 წლის ათლეტი მხოლოდ შარშან შევიდა „220-სანტიმეტრიან მესიმაღლეთა კლუბში". დალგრენის შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლის გამეორებაა: მანამდე ეს სიმაღლე დაძლიეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ვ. აბრამოვმა, კ. შაპკამ და ამერიკელმა რ. ჯორდანმა.

სპლიტი (იუგოსლავია), 2 ივნისი. 20 წლის ბრედა ბობოშეკი 181 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.

ფილადელფია, 2 ივნისი. სიმაღლეზე მხტომელთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, 30 წლის ჯონ თომასმაც იასპარეზა. მან 217 სმ დაძლია და II ადგილი დაიკავა, მხოლოდ სანტიმეტრით ჩამორჩა გამარჯვებულ თანამემამულე კრის დანს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტული ვიზიტი

ძალოსნობა. ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). 4 ივნისი. კონკურსი. მონაწილეობენ თბილისის რაიონების კონკურსებში გამარჯვებულნი. დასაწყისი 12 ს.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 10035